



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 122

ქალაქი ქუთაისი 23 მაისი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მე-8 სხდომის მოწვევის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

მუხლი 1. მოწვეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მერვე სხდომა მ/წლის 30 მაისს, 14 საათზე /სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი, რუსთაველის გამზირი N3/.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მერვე სხდომაზე წარდგენილ იქნეს **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

2. ქალაქ ქუთაისში საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზების სამუშაოთა წარმოების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი არჩილ ტყაბლაძე
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
 სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების,
 კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ეკოლოგიისა და
 მყარი ნარჩენების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი არჩილ ტყაბლაძე
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
 სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების,
 კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ეკოლოგიისა და
 მყარი ნარჩენების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგებების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
 სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის
 იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამხედრო სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერი ყენია
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
 სტრუქტურული ერთეულის - სამხედრო
 სამსახურის ხელმძღვანელი

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი გიორგი გიორგობიანი
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
 სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
 ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
 მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

7. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი
 ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14
 მარტის N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი გიორგი გიორგობიანი
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
 სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
 ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
 მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შეზღუდული
 პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკისათვის“ უსასყიდლოდ, საკუთრებაში
 გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი გიორგი ჭიღვარია
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი გიორგი გიორგობიანი
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
 სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
 ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
 მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი
 განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
 „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის
 მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი გიორგი ჭიღვარია
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი გიორგი გიორგობიანი
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
 სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
 ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
 მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

10. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი
 განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აკაკი
 წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ქალაქ ქუთაისის
 მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ბატონი გიორგი ჭიღვარია
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი გიორგი გიორგობიანი
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
 სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
 ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
 მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

11. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის
 წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში
 გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი გიორგი ჭიღვარია
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი გიორგი გიორგობიანი
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
 სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
 ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
 მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

12. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის
 წესით (სასყიდლით, პირობებით), მოქალაქე ნანა გუმბერიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ
 ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი გიორგი ჭიღვარია
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი გიორგი გიორგობიანი
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
 სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
 ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
 მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

13. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის
 წესით (სასყიდლით, პირობებით), მოქალაქე გივი ჯანგიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ
 ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი გიორგი ჭიღვარია
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი გიორგი გიორგობიანი
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
 სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
 ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
 მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო
 სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.